

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 04 სექტემბრის №01-06/12
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

5. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება №--
2020 წლის -- ივლისი
დაბა ქედა

**„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადგენს:

მუხლი 1.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დამტკიცდეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესი, თანახმად დანართი №1-სა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წესი, თანახმად დანართი №2-სა.“

3. დადგენილებას დაემატოს №2 დანართი თანდართული რედაქციით:

„დანართი №2.

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის)
პროგრამის განხორციელების წესი**

მუხლი 1.

1. ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს ამხანაგობის განცხადებას საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე.

2. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ამხანაგობას, რომელიც დაფუძნებულია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და აღრიცხულია ამ წესის შესაბამისად;

3. ამხანაგობების ინსტიტუციური განვითარებისა და თვითკმარ სუბიექტად ჩამოყალიბების მიზნით, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ხელი შეუწყოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს ინსტიტუციურ, ეკონომიკურ განვითარებას და მხარი

დაუჭიროს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაციების განვითარებას სხვადასხვა აქტივობებით.

მუხლი 2.

1. ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე ამხანაგობის თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერს, განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ამხანაგობის რეკვიზიტებს;
ბ) ამხანაგობის მოთხოვნას საერთო ქონების განვითარებისათვის ჩასატარებელი კონკრეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოს დაფინანსების თაობაზე.

2. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვის ფურცლის ასლი;

ბ) ამხანაგობის კრების ოქმი (ნოტარიულად დამოწმებული კრების თავმჯდომარის ხელმოწერით), რომლითაც განსაზღვრული იქნება ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების განვითარებისათვის ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, პრიორიტეტების მიხედვით.

მუხლი 3.

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერი განიხილავს შემოტანილ განცხადებებს და მათ შესაბამისობას ამ წესით და პროგრამით დადგენილ პირობებთან.

2. ამხანაგობის საერთო ქონების განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების ჩატარების მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შემდეგ ძირითად მიმართულებას:

ა) სახურავის შესაკეთებელი სამუშაოები (წყალსაწრეტი მილები, ქანობიანი და ბრტყელი სახურავი);

ბ) წითელ ხაზებში მოქცეული შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შესაკეთებელი სამუშაოები;

გ) შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები;

დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები);

ე) პროექტირების სამუშაოები (არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის მომსახურება).

3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაძლებელია განისაზღვროს ამხანაგობისათვის დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების სახე, რომელიც არ არის მითითებული ამ მუხლის მე-2 პუნქტში და წარმოადგენს ამხანაგობების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამუშაოებს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი (სახელმწიფო შესყიდვების ან/და ამხანაგობის მიერ წარმოდგენის გზით).

5. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტისგან დაფინანსების მისაღებად,

თანამონაწილეობის მიზნით, ამხანაგობამ საკუთარ ანგარიშზე უნდა განათავსოს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების 5%.

6. განცხადება არ დაკმაყოფილდება, თუ:

ა) შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან, ღირებულებიდან ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზებიდან გამომდინარე მისი დაკმაყოფილება მიზანშეუწონელია;

ბ) შესასრულებელი სამუშაო უკვე დაფინანსებულია პროგრამის ფარგლებში და მოქმედებს შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადა;

გ) ამოიწურა ბიუჯეტის შესაბამისი ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ოდენობა;

დ) შემოწმების შედეგად არ დასტურდება განცხადებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;

ე) დარღვეულია ამ წესის მოთხოვნები.

მუხლი 4.

ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვას მუნიციპალიტეტი განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვის გზით.

მუხლი 5.

1. ამ წესით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების მიღებისათვის ამხანაგობა ვალდებულია სრულად დაიცვას ამ წესითა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. ამხანაგობა ვალდებულია განახორციელოს ამ წესისა და პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოების შედეგად შექმნილი/რეაბილიტირებული და ამხანაგობის საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა.

მუხლი 6.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია:

ა) ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული ამხანაგობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ დააკმაყოფილოს ამხანაგობის მოთხოვნა ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების დაფინანსების თაობაზე, ვალდებულების სრულად შესრულებამდე;

ბ) მოითხოვოს დაფინანსებული ამხანაგობის ანგარიში ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ;

გ) ერთდროულად განიხილოს და შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში დააფინანსოს სხვადასხვა სახის სამუშაოები ერთი ამხანაგობისათვის.

მუხლი 7.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ასევე განეკუთვნება:

ა) საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ამხანაგობების საქმიანობისათვის საჭირო ტიპური დოკუმენტაციის შემუშავება (ტიპური წესდება, ამხანაგობის ტიპური კრების ოქმი და ა.შ.).“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერასაც.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. რედაქციით ხდება დადგენილების სათაურის ახლებურად ჩამოყალიბება, რაც აგრეთვე მოიცავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის (მხარდაჭერის) პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცებასაც (დადგენილების დანართი N2-ის თანდართული რედაქციით ჩამოყალიბდება).

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გოჩა გორგილაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2020 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ,
სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ წინასაარჩევნო ღონისძიებების ჩატარება, თანახმად დანართი №1-სა.

2. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 აგვისტოს №78 განკარგულება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების ჩატარება

№	ტერიტორიული ორგანოს დასახელება	საარჩევნო სუბიექტის მიერ ამომრჩეველთან შეხვედრისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობების დასახელება	დასახელებული შენობა-ნაგებობების მისამართი	შენიშვნა
1	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა	დ. ქედა, შოთა რუსთაველის ქ. №12	
		სოფლის სახლი	სოფელი ზენდიდი	
		სოფლის სახლი	სოფელი ხუნკუდა	
		სოფლის სახლი	სოფელი გულები	
		სოფლის სახლი	სოფელი არსენაული	
		სოფლის სახლი	სოფელი შევაბური	
2	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი ბალაძეები	
		სოფლის სახლი	სოფელი ტაკვიძეები	
		სოფლის სახლი	სოფელი ხარაულა	
		სოფლის სახლი	სოფელი გოგიაშვილები	
3	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	ახოს სოფლის კლუბი	სოფელი ახო	
		სოფლის სახლი	სოფელი ჩეტკვიძეები	
		სოფელ ცხმორისის კლუბი	სოფელი ცხმორისი	
4	წონიარისი ადმინისტრაციული ერთეული	წონიარისის კულტურის სახლი	სოფელი წონიარისი	
5	ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული	ვაიოს სოფლის კლუბი	სოფელი ვაიო	
		კვაშტის სოფლის კლუბი	სოფელი კვაშტა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზესოფელი	
6	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	ზედა აგარის სოფლის კლუბი	სოფელი ზედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი ქვედა აგარა	
		სოფლის სახლი	სოფელი კოლოტაური	
7	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი უჩხითი	
		ზუნდაგის სოფლის კლუბი	სოფელი ზუნდაგა	
		სოფლის სახლი	სოფელი ზედა მახუნცეთი	
8	დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი ჭინკაძეები	
9	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	მერისის კულტურის სახლი	სოფელი მერისი	
		სოფლის სახლი	სოფელი ნამონასტრევი	
		მერისის სოფლის კლუბი	სოფელი მერისი	
		ინაშარიძეების სოფლის კლუბი	სოფელი ინაშარიძეები	
		სიხალიძეების სოფლის კლუბი	სოფელი სიხალიძეები	
		გუნდაურის სოფლის კლუბი	სოფელი გუნდაური	

10	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფლის სახლი	სოფელი კუჭულა	
----	---	--------------	---------------	--

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის -- სექტემბერი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და
გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად გამოიყოს ადგილები, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

3. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

4. დანართი №1-ით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატები (სააგიტაციო მასალები) შემდეგი ზომით: სიგრძე 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატით).

5. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) განთავსებისას შესაბამისი საარჩევნო სუბიექტების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს დაევალოს სათანადო ადმინისტრაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

6. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

7. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალების) გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 აგვისტოს №77 განკარგულება.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

10. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების
(საგიტაციო მასალის) გასაკრავად დაგამოსაფენად გამოყოფილი ადგილები

№	ტერიტორიული ორგანოს დასახელება	დაბის და სოფლების დასახელება	სარჩევნო სუბიექტის მიერ სარჩევნო პლაკატების (საგიტაციო მასალების) გაკვრა და გამოფენისათვის გამოყოფილი შესაბამისი ადგილებისა და შენობა ნაგებობების დასახელება	გამოყოფილი ადგილების მისამართი და აღწერილობა	შენიშვნა
1	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა	ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე დ. აღმაშენებლისა და შ. რუსთაველის ქუჩის კვეთიდან დ. აღმაშენებლის ქუჩა №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლამდე, ქუჩის მარცხენა მხარეს	
			ჩოგბურთის მოედნის საყრდენი	მდებარე შ. რუსთაველის ქუჩაზე, ქუჩის მარცხენა მხარეს ჩოგბურთის კორტის საყრდენი კედელი	
			მინი ფეხბურთის მოედანი	მდებარე თამარ მეფის ქ.№1-ში, გარე ფასადის ირგვლივ	
			ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე 9 აპრილის ქუჩის დასაწყისიდან 9 აპრილის ქუჩის №1-მდე, ქუჩის მარჯვენა მხარეს	
			ქუჩის საყრდენი კედელი	დ. აღმაშენებლის ქუჩის №26, №28 და №30 მდებარე შენობა ნაგებობების ქვემოდან, ქუჩის მარჯვენა მხარეს	
			ქუჩის საყრდენი კედელი	მდებარე ტ. აბუსერიძის ქუჩაზე, ქუჩის მარცხენა მხარეს, ქვეითთა ფეხით გადასასვლელამდე, ტ. აბუსერიძის ქუჩის №13-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მოპირდაპირე წინა მხარეს	
2	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ორცვა	სოფელ ორცვის კლუბის გვერდითი ფასადი	მდებარე სოფელ ორცვაში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი არსენაული	სოფლის სახლის გარე ფასადი	მდებარე სოფელ არსენაულში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს, შენობის სამივე მხრიდან	
3	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ძენწმანი	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფელ ძენწმანში, სოფლის დასაწყისში და სოფლის ცენტრში გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი კორომხეთი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ კორომხეთში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	

		სოფელი ცხემნა	მინი ფეხბურთის სტადიონი	მდებარე სოფელი ცხემნის პირველი ქ.№-2 გარე ფასადის ირგვლივ	
4	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი აქუცა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ აქუცაში, სოფლის	
			ელექტრო წისქვილი	ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს მდებარე სოფელ აქუცაში, სოფლის ბოლო ნაწილში, გზის მარჯვენა მხარეს	
5	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი დანდალო	სოფლის სახლის გარე ფასადი	მდებარე სოფელ დანდალოში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი ტაკიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ტაკიძეებში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლის ორი ერთეული	მდებარე სოფელ ტაკიძეებში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
6	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი გოგიაშვილები	გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ გოგიაშვილებში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ გოგიაშვილებში, სოფლის დასაწყისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი დანდალო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ დანდალოში, სოფლის დასაწყისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
7	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი მოსიაშვილები	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფელ მოსიაშვილებში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
		სოფელი ბალაძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ სოფელ ბალაძეებში, სოფლის დასაწყისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ბალაძეებში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
8	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ჯალაბაშვილები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ჯალაბაშვილებში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ჯალაბაშვილებში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა	
9	დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ხარაულა	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფელ ხარაულაში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	

			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ხარაულაში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	
10	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ზვარე	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ზვარეში, სოფლის ცენტრში მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ზვარეში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი ზესოფელი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ზესოფელში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ზესოფელში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
11	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ვაიო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ვაიოში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფელ ვაიოს კლუბი	მდებარე სოფელ ვაიოში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
12	ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი კვამტა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ კვამტაში, სოფლის დასაწყისში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კვამტაში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი სირაბიძეები	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ სირაბიძეებში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
13	დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი დოლოგანი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ დოლოგანში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
			სოფლის კლუბი	მდებარე სოფელ დოლოგანში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი ჭალახმელა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ჭალახმელაში, სოფლის დასაწყისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი ჭინკაძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ დოლოგანში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
14	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი მილისი	სოფლის კლუბი	მდებარე სოფელ მილისში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი უჩხითი	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ უჩხითში, სოფლის ცენტრში გზის მარჯვენა მხარეს	

			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ უჩხითში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი ნამლისევი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ნამლისევიში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
15	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ზედა ბზუბზუ	მინი ფეხბურთის მოედანი ირგვლივ	მდებარე სოფელ ზედა ბზუბზუში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი ზუნდაგა	სოფლის კლუბი	მდებარე სოფელ ზუნდაგაში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ზუნდაგაში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
16	მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ზედა მახუნცეთი	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ზედა მახუნცეთში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი ქვედა მახუნცეთი	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფელ ქვედა მახუნცეთში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
17	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი მერისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ მერისში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ მერისში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
18	მერისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ნამონასტრევი	ძველი მაღაზიის შენობა	მდებარე სოფელ ნამონასტრევიში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი სილიბაური	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ სილიბაურში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ სილიბაურში, სოფლის ცენტრში, ნოდარ თურმანიძის საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირეთ, წინ, გზის მარცხენა მხარეს	
19	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ოქტომბერი	მგზავრთა მოსაცდელი სამი ერთეული	მდებარე სოფელ ოქტომბერში, გზის მარჯვენა და მარცხენა მხარეს	
		სოფელი გოგინიძეები	მგზავრთა მოსაცდელი ორი ერთეული	მდებარე სოფელ გოგინიძეებში, გზის მარჯვენა მხარეს	
		სოფელი კუჭულა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ კუჭულაში, ალიოღლების უბანში, გზის მარჯვენა	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კუჭულაში, სოფლის ქვედა უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	

			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კუჭულაში, სოფლის ზედა უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	
20	ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი მეძიბნა	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ მეძიბნაში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი აგოთა	მინი ფეხბურთის მოედნის ირგვლივ	მდებარე სოფელ აგოთაში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ აგოთაში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
21	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი პირველი მაისი	მგზავრთა მოსაცდელი ხუთი ერთეული	მდებარე სოფელ პირველ მაისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს	
22	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი კოლოტაური	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კოლოტაურში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კოლოტაურში, ჯინიშის უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	
23	პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ზედა აგარა	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ზედა აგარაში, გზის მარჯვენა მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ზედა აგარაში, გზის მარცხენა მხარეს	
24	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ცხმორისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ცხმორისის ცენტრში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი გობრონეთი	საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ გობრონეთში ბათუმი ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, პირველი ქუჩის №7-ში მდებარე შენობანაგებობის მოპირდაპირედ, წინ	
		სოფელი ახო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ახოში, სოფლის დასაწყისში, გზის მარჯვენა მხარეს	
25	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ცხმორისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ცხმორისში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			ელექტრო წისქვილი	მდებარე სოფელ ცხმორისში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ ცხმორისში ისრაფილ ბერიძის საცხოვრებელი სახლის მოპირდაპირედ, მარჯვენა მხარეს	

26	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ახო	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ახოში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		სოფელი ჩეტკიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ ჩეტკიძეებში, სოფლის დასაწყისში, გზის მარცხენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ ჩეტკიძეებში, სოფლის დასაწყისში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ ჩეტკიძეებში, სოფლის ცენტრში, გზის მარჯვენა მხარეს	
27	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი გეგელიძეები	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ გეგელიძეებში, სოფლის დასაწყისში, გზის მარცხენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ გეგელიძეებში, ფრიდონ ხალვაშის საცხოვრებელი სახლის ბოლოს, მარცხენა მხარეს	
28	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი ვარჯანისი	საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ ვარჯანისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს, სილოვან ბერიძის საცხოვრებელი სახლის ბოლოს	
		სოფელი წონიარისი	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ წონიარისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს	
			საავტომობილო გზის საყრდენი კედელი	მდებარე სოფელ წონიარისში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მხარეს	
			მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ წონიარისში, სოფლის ცენტრში, ბათუმი- ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს	
29	წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი აბუქეთა	სოფლის სახლი	მდებარე სოფელ აბუქეთაში, სოფლის ცენტრში, გზის მარცხენა მხარეს	
		მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ აბუქეთაში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს		
30	ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	სოფელი კოკოტაური	მგზავრთა მოსაცდელი	მდებარე სოფელ კოკოტაურში, კიკაშვილების უბანში, გზის მარცხენა მხარეს	
			სოფლის სახლი	მდებარე სოფელ კოკოტაურში, ძანაძეების უბანში, გზის მარჯვენა მხარეს	

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2020 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ,
სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების
(სააგიტაციო მასალის) განთავსება**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა, თანახმად დანართი №1-სა.

2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა აკრძალულია განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში მოცემულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.

3. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 აგვისტოს №79 განკარგულება.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

შენიშვნა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვერა

№	სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დასახელება	სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობების ადგილმდებარეობა და მისამართი	შენიშვნა
1	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ქედის საზოგადოებრივი ცენტრი	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
2	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
3	სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური სამმართველოს ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
4	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სავაჭრომობილო გზებისა დეპარტამენტის ქედის წარმომადგენლობა	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	
5	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის რაიონული განყოფილება	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
6	ქედის სატყეო ადმინისტრაცია	დაბა ქედა, ვაჟა ფშაველას ქუჩა №2	
7	შინაგან საქმეთა სამინისტროს ქედის პოლიციის სამმართველო	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №4	
8	ქედის მშენებარე მუზეუმი	ქედა, დ. აღმაშენებლის პირველი ჩიხი №1	მშენებარე ობიექტი
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო ქედის რესურსცენტრი	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
10	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა № 3	
11	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	დაბა ქედა, მერაბ კოსტავას ქუჩა №3	
12	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული	დაბა ქედა, 26 მაისის ქუჩა №2	

13	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ოქტომბერი	
14	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დანდალო	
15	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ცხმორისი	
16	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი დოლოგანი	
17	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზუნდაგა	
18	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი პირველი მაისი	
19	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი წონიარისი	
20	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, მერისის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი მერისი	
21	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანო, ზვარის ადმინისტრაციული ერთეული	ქედა, სოფელი ზვარე	
22	ქედის მაგისტრატი სასამართლო	დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქუჩა №17	
23	აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო ქედის არქივი	დაბა ქედა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა №1	
24	№80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისია	დაბა ქედა, აკ. წერეთლის ქ. №1	



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2020 წლის 28 თებერვლის №18 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №25 განკარგულება.
5. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტი
2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

დანართი N1

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	8400	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3600	
ბალაძეები		116	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
გოგიაშვილები		194	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
მოსიაშვილები		169	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	3200	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	6800	
6	ხარაულა	639	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000		
7	ჯალაბაშვილები	310	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000		
ჯამი				80000			
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
9		ახო	594	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3000	
					გარე განათების მოწყობა	9000	
12		კოკოტაური	545	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
ჯამი				86000			
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
17		კანტაური	76	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	გარე განათების მოწყობა	10000	

20		სასადილოყელი	17	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	78000			
21	ზვარე	ზვარე	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
22		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
24		კვამტა	279	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3500	
25					გარე განათების მოწყობა	8500	
26		სირაბიძეები	252	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	64000			
27	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
28		აქუცა	262	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	2400	
					გარე განათების მოწყობა	9600	
29		გულები	235	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8500	
					გარე განათების მოწყობა	3500	
30		ზენდიდი	297	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
31		კორომხეთი	160	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
32		ორცვა	232	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
33		ქედა	149	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	8000	
					გარე განათების მოწყობა	2000	
34		შევაბური	89	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4500	
					გარე განათების მოწყობა	5500	
35	ცხემნა	156	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
36	ძენწმანი	197	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000		
37	ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
			ჯამი	118000			
38	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
39		ზედა აგარა	106	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
40		კოლოტაური	473	16000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	3000	
					გარე განათების მოწყობა	13000	
41	ქვედა აგარა	109	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
			ჯამი	52000			
42	მახუნციეთი	ქვ/მახუნციეთი	439	16000	გარე განათების მოწყობა	12000	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4000	
43	ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000		

44		ზ/მახუნცეთი	203	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
45		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
47		ქოსოფელი	72	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
48		მილისი	123	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
50		უჩხითი	260	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
ჯამი				106000			
51	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	13500	
					საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	2500	
		ჭალახმელა	162	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	10000	
53		ჭინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
ჯამი				38000			
54	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	12000	
55		აგოთა	122	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
56		გოგინძეები	95	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
57		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
58		მედიზნა	188	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
ჯამი				54000			
59	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
60		გარეტყე	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
61		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
62		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		ნამონასტრევი	60	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4500	
					გარე განათების მოწყობა	5500	
64		სილიბაური	117	10000	საუბნო გზებზე დასაგებად მზა ბეტონის შეძენა	4500	
					გარე განათების მოწყობა	5500	
65	სიხალიძეები	148	10000	გარე განათების მოწყობა	10000		
ჯამი				74000			
სულ ჯამი				750000			

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №25 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის 28 თებერვლის N18 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის ივნისის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა შესაბამისი პროგრამა. მაგრამ ამ პროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებების ან/და დასახელებების ნებისმიერი ცვლილებისათვის საჭირო პროგრამის ცვლილების დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №25 განკარგულებაში ცვლილებების შეტანა და პროგრამის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

ასევე განმარტავთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სოფელ გარეტყეში გამოყოფილი 10000 ლარით გათვალისწინებული იყო სოფლის სახლის მშენებლობა. პროგრამის შესაბამისად შესყიდვის განსახორციელებლად გამოცხადებული იყო ტენდერი, რომელიც არ შედგა პრეტენდენტთა მხრიდან მონაწილეობის მიუღებლობის გამო. განმეორებით სატენდერო პროცედურის გამოცხადების შემთხვევაში, მოსალოდნელი ზამთრის დადგომის პირობებში შეუძლებელი გახდება სამუშაოების ჩატარება, ამიტომ საკითხი დამატებით იქნა განხილული მოსახლეობასთან და მათი გადაწყვეტილებით საჭიროა შევიდეს ცვლილება (პროგრამის დამტკიცებული ცხრილის მე-60 გრაფა) პროგრამაში, კერძოდ: „სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობის“ პროექტი უნდა შეიცვალოს და დაფიქსირდეს ღონისძიება „სოფელში გარე განათების სისტემის მოწყობა“.

ასევე განმარტავთ, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის პროექტის თანახმად ძალადაკარგულად გამოცხადდა „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2020 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 17 ივლისის №25 განკარგულება.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა,

საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.